

საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს დირექტორის
მ/შ ბატონ თეიმურაზ მთივლიშვილს
შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“-ს დირექტორის იური შონიას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“ განცხადებას სკრინინგის პროცედურის გასაველეად.

გთხოვთ, კანონით დადგენილ ვადებში განიხილოთ სკრინინგის ანგარიში და გვაცნობოთ თქვენი გადაწყვეტილება.

დანართი:

სკრინინგის ანგარიში. ნაბეჭდი ვერსია 7 გვ.

პატივისცემით,

დირექტორი იური შონია



10.05.2022 წ.

შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“ (ს/ნ 415089291) „ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტი“-ზე გაცემული 2-508 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ექსპლუატაციის ცვლილების (ტექნიკური წყლის აუზის ექსპლუატაციის ცვლილება და სალექარის მოწყობა-ექსპლუატაცია)სკრინინგის პროექტი

პროექტის განმახორციელებელი და შემსრულებელი

შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“

ქ. თბილისი

2022წელი

ძირითადი მონაცემები ობიექტის საქმიანობის შესახებ

საწარმოს დასახელება:	შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“
საწარმოს მისამართი: იურიდიული მისამართი: საიდენტიფიკაციო კოდი: საკადასტრო კოდი: GPS კოორდინატები:	ხოზის მუნიციპალიტეტი. სოფელი ხორგა. ქ. ფოთი. თ. დავითაიას ქუჩა # 102 ს/ნ 415089291 45.16.23.463 (საკადასტრო კოდი გაყოფამდე 45.16.23.197) 1. X=234350.66; Y=4682025.44; 2. X=234400.84; Y=4681998.59; 3. X=234371.84; Y=4681940.73; 4. X=234316.60; Y=4681956.47.
საწარმოს ხელმძღვანელის/ დირექტორის სახელი და გვარი: ტელეფონი: ელ-ფოსტა:	იური შონია 555541954 Bswmge@gmail.com
გარემოსდაცვითი მმართველის სახელი და გვარი: ტელეფონი: ელ-ფოსტა:	დავით ყურაშვილი 577774077
მანძილი საწარმოდან უახლოეს მოსახლემდე	800 მეტრი
დაშორება საირიგაციო არხიდან	40 მეტრი
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ნარჩენების აღდგენისა და სახიფათო ნარჩენების დამუშავების ობიექტი

შესავალი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“ (ყოფილი შპს „ბლექსი 2013“) (ხოზის მუნიციპალიტეტი, სოფელ ხორგაში) ნარჩენების აღდგენის, ნარჩენების განთავსების (ინსინერაციის) და 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია 2017 წლის #69 ეკოლოგიური დასკვნა. ასევე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 10 ივნისის #2-508 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

სკრინინგის ანგარიშის საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში შემუშავებულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის 12-ე ნაწილის „გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა“ და მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისად.

საქმიანობის განხორციელების ადგილი

შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“ საქმიანობას ახორციელებს ხოზის მუნიციპალიტეტში, სოფელ ხორგაში.

საწარმო ობიექტი მდებარეობს კომპანიის საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. ნაკვეთის საკადასტრო კოდი 45.16.23.463. საწარმოს საერთო ფართობი შეადგენს 4000 მ²-ს.

უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ობიექტიდან 800 მეტრის დაშორებით.

საქმიანობის აღწერა

შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“ ძირითადი საქმიანობაა სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობება და სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების ინსინერაცია, ამასთან ერთად კომპანიამ

სკრინინგის პროცედურის გავლის შემდეგ მიიღო პლასტიკის ნარჩენების აღდგენის უფლება. შესაბამისად, კომპანიას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებული აქვს 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობების, ნარჩენების ინსინერაციის და ნარჩენების აღდგენის გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები (№2-508; 10.06.2019 / №2-986; 17.10.2019).

საწარმოში ნარჩენების ტრანსპორტირება ხორციელდება სპეციალიზირებული მანქანებით ნარჩენების წარმოქმნის უბნიდან. კომპანიას გავლილი აქვს ნარჩენების ტრანსპორტირებისათვის აუცილებელი რეგისტრაცია, დამატებით, ასევე შესაძლებელია ნარჩენების ტრანსპორტირება განახორციელოს შესაბამისი რეგისტრაციის მქონე კომპანიების მხრიდან.

სახიფათო ნარჩენების დასაწყობების უბანი შეესაბამება საქ. მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების“ დადგენილების ძირითად მოთხოვნებსა და პირობებს. დასაწყობების უბანში ხდება სხვადასხვა სახიფათო ნარჩენების დროებითი დაყოვნება, სპეციალურად მათთვის განკუთვნილ და მარკირებულ კონტეინერებში, სანამ არ მოხდება მათი საბოლოო აღდგენა/განთავსება.

საწარმოში შეტანილი ნარჩენების გაუვნებლყოფა ხორციელდება სპეციალურ დანადგარში - ინსინერატორში.

დანადგარის ტექნიკური მახასიათებლები:

საუტილიზაციო სფერო	საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენები
შესრულება	სტაციონარული
წარმადობა	300 კგ/სთ
სამუშაო ხანგრძლივობა	8-16 სთ/ დღეღამე
დანადგარის საწვავის სახეობა	მაზუთი/ დიზელი
ნარჩენების თბოუნარიანობა	5-25 მგჰ/კგ
ტემპერატურა წვის ძირითად კამერაში	800°C
ტემპერატურა წვის დასრულების კამერაში	1100°C

დანადგარის კომპლექტაცია

- მიმღები კამერა;
- წვის ძირითადი კამერა;
- წვის დასრულების კამერა;
- თბოგადამცემი;

- გამწოვი ვენტილატორი;
- სველი წმენდის ფილტრი;
- საკვამლე მილი;
- მართვის პანელი.

ინსინერატორში ნარჩენები ხელით იტვირთება. მიმღები კამერის შევსების და მისი ქვედა ნაწილის გამოწვის შემდგომ მასალა გრავიტაციული ძალებით გადაადგილდება წვის ძირითად კამერაში. წვის ძირითადი ნაწილისშიდა ნაწილი დამზადებულია ცეცხლგამძლე მასალისაგან, ხოლო გარედან შემოსალტულია ფოლადის სქელი ფილებით. კამერის შიგნით ტემპერატურა მუდმივად იზომება თერმოწყვილის საშუალებით და ხორციელდება შესაბამისი კონტროლი საკონტროლო პანელის მეშვეობით. წვის ძირითადი კამერაში ხდება წვა და მყარი ნაწილის ნაცრის მდგომარეობაში გადაყვანა, ხოლო 700–800°C მქონე აირები ჟანგბადის უკმარისობის პირობებში გადადიან წვის დასრულების კამერაში. ამ კამერაში ჩატვირთული ნარჩენების მასის დაახლოებით 5% რჩება ნაცრის სახით, რომელიც გროვდება კამერის ქვედა ნაწილში.

წვის დასრულების კამერაში (ე. წ. წვის ზედა კამერა) ხდება წარმოქმნილი აირების განმეორებითი თერმული დამუშავება 1100°C ტემპერატურაზე. კამერის შიგნით ტემპერატურა მუდმივად იზომება თერმოწყვილის საშუალებით და ხორციელდება შესაბამისი კონტროლი საკონტროლო პანელის მეშვეობით.

საწარმოს ინსინერატორი აღჭურვილია სველი წმენდის ფილტრით, რომელიც აუცილებელია ნარჩენების წვის შედეგად წარმოქმნილი აირების შემადგენლობაში არსებული სახიფათო კომპონენტების მავნე ზემოქმედების თავიდან ასარიდებლად ან დასაშვებ ნორმამდე შესამცირებლად (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №69. 2017 წ.). სველი ფილტრი უზრუნველყოფს წარმოქმნილი კვამლის გათავისუფლებას მცირე ზომის შეწონილი ნაწილაკებისა და აიროვანი დამაბინძურებელი ნივთიერებებისაგან. აღნიშნულ საკანში მოხვედრილი კვამლი ცივდება სპეციალური ხსნარის (PH 9-10)გამოყენებით. სისტემა მუშაობს ჩაკეტილ ციკლში.

იმისათვის, რომ შემცირდეს ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი აირების ტემპერატურა და აცილებული იქნას მაღალტემპერატურული აირების მავნე ზემოქმედება კვამლის გამწოვზე და ფილტრზე, ტექნოლოგიურ ციკლში გათვალისწინებულია სპეციალიზირებული თბოგადამცემი. ამ სისტემით, გახურებული აირების ტემპერატურა 980°C-დან ეცემა დაახლოებით 200 C°-ზე (გაციების სისტემის გამოსასვლელთან).

ტექნიკური წყლისადება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ბეტონის წყლისაუზიდან, (გზმ გვ, 71) რომელიც ასევე გამოყენებული იქნება ბრუნვითი სისტემისთვის.

ცვლილების არსი:

გარემოსდაცვითი მაღალი სტანდარტების მიღწევის უზრუნველყოფის მიზნით კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საწარმოო პროცესის მიმდინარეობისას დამატებით გაწმინდოს სველი წმენდის ფილტრიდან და თბოგამცვლელი კამერიდან გამომავალი წყლები. კერძოდ, მოეწყოს სალექარი, სადაც მოხვდება ინსინერატორის ტექნოლოგიურ ციკლში არსებული წყლები (სველი წმენდის ფილტრი, თბოგამცვლელი) და იქიდან მილების საშუალებით გადაედინება არსებულ ტექნიკური წყლისთვის განკუთვნილ ბეტონის აუზში. შემდგომ, აუზში არსებული წყალი, გრაფიტაციის (თვითდალექვის) მეშვეობით დამატებით გაიწმინდება და გაწმინდილი წყალი მილების საშუალებით დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში.

დაგროვების შესაბამისად, სალექარსა და გამწმენდ ნაგებობაში აკუმულირებული ლექი (მაქს. 20 კგ/წნარჩენის კოდი 19 08 13*) იქნება ამოღებული და ისინირებული საწარმოს საკუთრებაში არსებულ ინსინერატორში.

სალექარი წარმოადგენს მიწისზედა ბეტონონის კონსტრუქციას შემდეგი პარამეტრებით:

სალექარის პარამეტრები

სიგრძე: 1.5 მ

სიგანე: 1.45 მ

სიღმე: 77 სმ.

გარემოზე ზემოქმედება

იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შპს „ბლექსი ვეისტ მენეჯმენტი“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 10 ივნისს N2-508 ბრძანების საფუძველზე უკვე ახორციელებს შესაბამის საქმიანობას, შესაბამისად, დაგეგმილი ცვლილებით ზემოქმედება როგორც ბიომრავალფეროვნებაზე, ასევე ვიზუალურ, ლანდშაფტურ და გეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი არაა.

კომპანიის მიერ დამატებითი სალექარის მოწყობის და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევა მოსალოდნელი არ არის.

ასევე, მოსალოდნელი არ არის გრუნტის დაბინძურება და მასშტაბური ავარიების რისკი.

წყლის დამატებითი გამწმენდი ობიექტები (სალექარი და აუზი) დახურული სისტემით უზრუნველყოფს ტექნოლოგიური ციკლის ფუნქციონირებას. წყლის ჩაშვება ზედაპირული წყლების ობიექტებში მოსალოდნელი არარის.

ასევე, არ არის მოსალოდნელი გარემოს დაბინძურება და ხმაური. საწარმოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შედეგად დამატებით წარმოიქმნება მხოლოდ სალექარსა და გამწმენდ ნაგებობაში აკუმულირებული ლექი (მაქს. 20 კგ/წ; კოდი 19 08 13*).

ვინაიდან, საწარმოო ტერიტორიის მიმდებარედ არ მდებარეობს დაცული ტერიტორიები და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, აქედან გამომდინარე მოსალოდნელი არ არის მათზე ზემოქმედებაც.